სკოლის დასახელება	აფხაზეთის N 21 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	მაკა ხარგელია
ნაწყვეტი წიგნიდან	„მოთხრობები ქალებზე’’- რევაზ ინანიშვილი-„თინიკო’’
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი / V
მისაღწევი შედეგები	ქართ. V.8 სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება; ქართ.(II) 7 მსჯელობა ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ; **სტანდარტით განსაზღვრული საკომუნიკაციო სიტუაციები მიღწევათა დონეების გათვალისწინებით:** მსჯელობა მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით; დასკვნების გამოტანა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე.
წინასწარი ცოდნა	შეუძლია პერსონაჟის რუკებისა და სქემების გამოყენება, ტექსტის გააზრება, მსჯელობა.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	აქტივობა 1. – „თევზაობა’’-გონებრივი იერიში’’; დრო-5 წთ. აქტივობა 2. -პერსონაჟის დახასიათება-გმირის რუკა; დრო - 15 წთ. აქტივობა 3. - შეჯამება- ,,მოვყვეთ ხუთი თითით’’. დრო- 5 წთ.
აქტივობა 1 **აქტივობა:** ,,თევზაობა’’ **მეთოდი:** გონებრივი იერიში	**აქტივობის აღწერა** გონებაში გადავაგდოთ ანკესი და ჩვენი აზრები ,,დავიჭიროთ’’. რას ფიქრობთ სათაურთან და ტექსტის დასაწყისთან დაკავშირებით: 1.სათაური მიმანიშნებს, რომ... **აქტივობის მიზანი** ხელს უწყობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, იდეების გენერირებას, სწავლის პროცესის გამრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

ყველაზე წიგნიერი

	2. ტექსტის დასაწყისი მიმანიშნებს რომ... მასწავლებელი წაუკითხავს პირველ აბზაცს ტექსტიდან. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს სათაურთან და ტექსტის დასაწყისთან დაკავშირებით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ტექსტის კითხვის დაწყებამდე დააკვირდნენ კითხვის პლაკატს (დან. N1)	მოსწავლეებს შეუძლიათ, თამამად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.
აქტივობა 2 **პერსონაჟის დახასიათება-გმირის რუკა**	**აქტივობის აღწერა** ეპიზოდი/სიტუაცია. მოსწავლეები აკვირდებიან პერსონაჟს, ახასიათებენ მას. პერსონაჟი-მთხრობელი: როგორ გამოიყურება? რას ფიქრობს? რას აკეთებს? რას ამბობს? რას გრძნობს? რა არის მისი მიზანი.	**აქტივობის მიზანი** ტექსტში პერსონაჟის შესახებ ყველა ინფორმაციის მოძებნა, გააზრება და დასკვნების გამოტანა; არგუმენტირების უნარის განვითარება ტექსტიდან სათანადო ადგილების მოშველიებით.
აქტივობა 3 **,,მოვყვეთ ხუთი თითით''**	აქტივობის აღწერა მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს გაკვეთილს: 1. პირველად ცერა თითს მოხრიან და ჩამოთვლიან პერსონაჟებს; 2. შემდეგს საჩვენებელ თითს მოხრიან და ასახელებენ მოქმედების დროსა და ადგილს. 3. შემდეგ-შუა თითს და ასახელებენ პრობლემას;	აქტივობის მიზანი განუვითარებს მოსწავლეებს უნარს, ტექსტიდან გამოყონ მნიშვნელოვანი იდეები და მონაკვეთები, ერთმანეთთან დააკავშირონ ძირითადი აზრები, შეაჯამონ და გაამთლიანონ ტექსტი. ახალისებს მოსწავლეებს, ზრდის მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას.

	4. არათითის მოხრისას-რა მოხდა დასაწყისში, შუაში და ბოლოში; 5. ნეკა თითის მოხრისას კი პრობლემის მოგვარებაზე საუბრობენ. ბოლოს მუშტი იკვრება და ტექსტის ანალიზიც გაკეთებულია.	

აქტივობა N 1.



აქტივობა N2



აქტივობა 3.

ყველაზე წიგნიერი

დანართი N 1
კითხვის პლაკატი

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	კარგი	საშუალო	დაბალი
აქტიური მონაწილეობა და სამუშაოზე კონცენტრირება	ყოველთვის მონაწილეობს და აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მთელი გაკვეთილის განმავლობაში კონცენტრირებულია სამუშაოზე	ხშირად მონაწილეობს და ერთვება საგაკვეთილო პროცესში, ძირითადად კონცენტრირებულია სამუშაოზე	იშვიათად მონაწილეობს და ერთვება საგაკვეთილო პროცესში, ცდილობს კონცენტრირებას, მაგრამ ხშირად ეფანტება ყურადღება
კითხვის ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება	სწორად შეარჩევს მხატვრული ტექსტის კითხვის სტრატეგიებს და ეფექტურად იყენებს მათ.	შეარჩევს და ხშირად იყენებს მხატვრული ტექსტის კითხვის შესაბამის სტრატეგიებს.	დამოუკიდებლად უჭირს მხატვრული ტექსტის კითხვის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება, სხვათა დახმარებით ახერხებს ამას.
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს ტავის მოსაზრებას	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს თავის მოსაზრებას	ნაკლებად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას
პერსონაჟის სახასიათო შტრიხების გამოკვეთა-დასაბუთება	სრულად გამოკვეთს პერსონაჟის სახასიათო შტრიხებს და ასაბუთებს	ნაწილობრივ გამოკვეთს პერსონაჟის სახასიათო შტრიხებს და ასაბუთებს	უჭირს პერსონაჟის სახასიათო შტიხების გამოკვეთა და დასაბუთება

ყველაზე წიგნიერი